სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიო

ავტორი მარიამ გოდუაძე

გზამკვლევის გზამკვლევი

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიჩნეულია, რომ სპეციალური მასწავლებლის სასწავლო პორტფოლიო[1] არის მასწავლებლის საუკეთესო ნაშრომის მტკიცებულების კოლექცია, რომელიც არჩევს, და აჯამებს საქმიანობას და ასახავს თანამშრომლობას სხვადასხვა დონეზე[2]. პორტფოლიოს ელემენტები შეირჩევა მასწავლებლის მიღწევების დოკუმენტირების მიზნით. პორტფოლიო სწავლების ერთგვარი ფილოსოფიაა, შესაძლებლობების აღწერა და მონაცემების დასაბუთება სასწავლო გეგმებით, შეხვედრების ოქმებით, დინამიკური თუ ინტერაქციული რეზიუმეებითა და დირექციის წარმომადგენლებისა თუ კოლეგების გამოხმაურებებით. პორტფოლიოს წარმოება სწავლის თავისებურებების სისტემატური ანალიზია და როგორც საკუთარი, ასევე მოსწავლის სწავლების პროცესის პედაგოგიური წარმატებისა და პროფესიული განვითარების მნიშვნელოვანი პირობა.

ერთი მხრივ, პორტფოლიო სპეციალური მასწავლებლის მიღწევების წარმოჩენის საუკეთესო გზაა, რომელიც წარმოადგენს სპეციალური მასწავლებლის შეფასებისა და თვითშეფასების საშუალებას, მისი პროფესიული განვითარების მაჩვენებელს; ის პედაგოგიური რეფლექსიის ინსტრუმენტია, რომლის დახმარებითაც სპეციალური მასწავლებელი პროფესიული ზრდის გზაზე საკუთარ მიღწევებს აანალიზებს; პორტფოლიო სპეციალური მასწავლებლის ერთგვარი „სავიზიტო ბარათია", რომელიც კადრით დაინტერესებულ პირს ნათელი წარმოდგენას უქმნის მასწავლებლის საქმიანობის ხარისხისა და პროფესიული განვითარების შესახებ. როგორც წესი, პორტფოლიოს ითვალისწინებენ მასწავლებლის დასაქმების, წახალისებისა ან კატეგორიის მინიჭების გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ კუთხით, პორტფოლიო პედაგოგის საქმიანობის ადეკვატური შეფასების საშუალებაა, რომელზე დაყრდნობითაც ხშირად ფასდება მასწავლებლის შესრულებული სამუშაოს ხარისხი და მისი პროფესიული კომპეტენცია.

გასახარია, რომ სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიოს მოთხოვნა და მისი გზამკვლევი დარგის თვალსაჩინო სპეციალისტების მიერ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეშიც გაჩნდა და შემუშავდა[3].

გზამკვლევში სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიო განმარტებულია, როგორც „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის სწავლისა და სწავლების პროცესის თვალსაჩინოდ ამსახველი დოკუმენტური დოსიე", რომელიც განკუთვნილია იმ მასწავლებლისთვის, რომლისთვისაც სწავლება და სწავლა ცხოვრების წესს, უსასრულო შემოქმედებით პროცესს, საკუთარი პედაგოგიური მოღვაწეობის სრულყოფასა და სხვისთვის გაზიარების სურვილს წარმოადგენს.

გზამკვლევი ერთგვარი მხარდამჭერია მასწავლებლებისა, რომლებმაც კარგად იციან, რომ სირთულეების მქონე მოსწავლეებთან სასწავლო შედეგების მისაღწევად დიდი ძალისხმევა და განსხვავებული მიდგომებია საჭირო. ყოველდღიური პრაქტიკა კი, რომელიც ახალი ცოდნის შეძენით, გამოცდილების დაგროვებითა და ინოვაციური სწავლების სტრატეგიების დაგეგმვით იქმნება და შედეგად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან წარმატება მოსდევს, სამწუხაროდ, შეუმჩნეველი რჩება და ხშირად იკარგება კიდეც. პორტფოლიოს გზით კი შესაძლებელია მასწავლებლის გამოცდილების, სწავლების გამოყენებული სტრატეგიებისა და მიგნებების დოკუმენტირება, რაც მომავალში პედაგოგის საქმიანობის შეფასების საფუძველი გახდება. ამავე დროს, შესაძლებელია ის სხვა მასწავლებლის სახელმძღვანელო მასალადაც იქცეს[4].

გზამკვლევში ხაზგასმულია პორტფოლიოს მნიშვნელობა სსსმ მოსწავლის აკადემიური თუ სოციალური მიღწევების შეფასებისთვისაც. იგი შეიძლება მივიჩნიოთ სპეციალური მასწავლებლის ერთგვარი სამოქმედო ინსტრუმენტად, რომელიც გვასწავლის, როგორ უნდა შეგროვდეს დოკუმენტური მასალა (ნამუშევრები, შემაჯამებელი წერის ნიმუშები, მოსწავლის ნაწერი, ფოტოები და სხვა); რამდენჯერ უნდა შეაფასოს სასწავლო სემესტრში სპეციალურმა მასწავლებელმა მოსწავლის ცოდნა, უნარები და მიღწევა; როგორ უნდა იქნას მის მიერ გათვალისწინებული საგნის მასწავლებლის შეფასების მონაცემები და სხვ.. ეს ყოველივე ბავშვის პროგრესის გარანტიაა, ვინაიდან ის იძლევა სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევების საგნის მთლიან კონტექსტში დანახვის საშუალებას; სპეციალური მასწავლებლის მიერ ყველა მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის ხელმისაწვდომობასა და თანაბარ შესაძლებლობებს; განათლების სისტემის მიერ ინკლუზიური განათლების ეფექტიანობის შეფასების შესაძლებლობას, რამდენადაც ზომავს სსსმ მოსწავლეთა ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურების გადალახვის ხარისხსა და დროს.

გზამკვლევში პორტფოლიოს ფუნქციებად განხილულია:

სსსმ მოსწავლის მიღწევებისა და სპეციალური მასწავლებლის გამოცდილების დოკუმენტირება;

მიღებული ცოდნის გაანალიზება და სისტემაში მოყვანა;

თეორიული ცოდნის პრაქტიკულთან დაკავშირება;

თვითგანვითარება.

ამდენად, პორტფოლიო, როგორც მასწავლებლის პერსონალური დოკუმენტი ორ ძირითად მიმართულებად შეიძლება გაიყოს: საკუთარ პრაქტიკასთან დაკავშირებული და კონკრეტული სპეციალური საგანმანათლებლ ო საჭიროების მქონე მოსწავლესთან დაკავშირებული დოკუმენტები. სპეციალური მასწავლებელი იმ სსსმ მოსწავლეებზე, რომლებთანაც მისი საქმიანობაა დაკავშირებული, ქმნის და პრაქტიკაში იყენებს შემდეგ ძირითად დოკუმენტებს:

მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების აღწერას (მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფირება);

ინტერვენციის გეგმას;

სსსმ მოსწავლის ნამუშევრების კრებულს.

გზამკვლევში გამოკვეთილია, რომ მასწავლებლის თვითრეფლექსიის გზით პროფესიული უნარების, ცოდნისა და კომპეტენციების განვითარება მოითხოვს შემდეგ დოკუმენტებზე მუშაობას. ესენია:

თვითშეფასება;

სამოქმედო გეგმა ;

რუბრიკები;

სპეციალური მასწავლებლის საქმიანობის ამსახველი განრიგი.

გზამკვლევში განხილულია თითოეული ზემოთ მოცემული კომპონენტი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის პროცესი მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიცირებას, ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების შეფასებას, რაც მოიცავს:

აკადემიური უნარების შეფასებას;

კოგნიტიური უნარების შეფასებას;

კომუნიკაციის, ენა–მეტყველების შეფასებას;

ფიზიკური სფეროს შეფასებას;

სოციალურ–ემოციური სფეროს შეფასებას;

ადაპტიური სფეროს შეფასება;

სპეციალური მასწავლებლის ინტერვენციის გეგმას;

სასწავლო მიზნებს და აქტივობებს;

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში სპეციალური მასწავლებლის როლს.

გზამკვლევში ხაზგასმულია, როგორი უნდა იყოს სპეციალური მასწავლებლის საქმიანობის ანალიზი და მისი თვითშეფასება, სამოქმედო გეგმა, რუბრიკები, საქმიანობის განრიგი, სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიოს დამატებითი კომპონენტები და დამატებითი დოკუმენტაცია, როგორიცაა:

ქცევის მართვის გეგმა;

კომპლექსური დავალება;

ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა.

გზამკვლევი თანამედროვე ქართული განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებების კვალობაზე თვალშისაცემი მიღწევა თუ მონაპოვარია, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული პირებისთვის კი – ღირებული სამოქმედო დოკუმენტი.

[1] https://www.education.uw.edu/technologycenter/how-to-guides/eportfolio-guidelines/sped-eportfolio-resources/

[2] აღნიშნული თანამშრომლობა შეიძლება მოიცავდეს მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან, დირექციასთან, ბავშვის სწავლაში ჩართულ სხვა პირებთან საქმიანობას.

[3] გზამკვლევის ავტორები არიან: ლიკა ქურციკიძე და ბაია კუბლაშვილი.

[4] http://inclusion.ge/res/docs/2022013123164480403.pdf?fbclid=IwAR2P71Q–cfcrtaDxA1-S-QPwVz0DxCSQKDiP5NU5syWT0VwqLt5uWeFCpA გვ. 4.